ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 06 ოქტომბრის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პავლე კიკალიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 06 ოქტომბერი მორიგი სხდომის

ოქმი N 15
2025 წლის 06 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ -სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 24 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენლები:
პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატი
ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
თამარ მაღრაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,
ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,
ლაურა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პავლე კიკალიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ზურაბი ბანცაძის ანგარიში **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:
ბესიკი კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, იყო შეკითხვები, მოთხოვნა დაბაში არსებული აგრარული ბაზრის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, საზოგადოებრივი სველი წერტილების მოწესრიგებაზე და სხვა. წარმატებები მინდა ვუსურვო სამსახურს და შემოვდივარ წინადადებით საქმიანობა შეფასდეს დადებითად,
დავით კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, დასვა შეკითხვა მყარი ნარჩენების ტერიტორიის შერჩევის საკითხთან დაკავშირებით,
ზურაბ ბანცაძემ მომხსენებელმა განმარტა, რომ ტერიტორია გამოყოფილია, შემოიღობა და ვაკონტროლებთ,
პაატა გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დასვა წინადადება, რომ ნაგავსაყრელის ტერიტორიის გამოყოფა უნდა მოხდეს ოფიციალურად და მიეცეს დანიშნულება.
მანანა ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ გატარდა რაიმე ღონისძიება ტრასაზე ძველი შენობების დემონტაჟის კუთხით,
ზურაბ ბანცაძემ მომხსენებელმა განმარტა, რომ მოხდა შენობების აღრიცხვა, ვადგენთ მეპატრონეს და დაიწყება დემონტაჟი.
 სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა ბესიკი კვირიკაშვილისა და დავით კიკნაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის ანგარიში **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:
ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“ , რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის საქმიანობის ძირითადი პრინციპია მონიტორინგის განხორციელება საბიუჯეტო თანხების ხარჯვაზე, მაინტერესებს რა თანხა გაიცა ლაშეში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და რა ტიპის, ასევე მან ისაუბრა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლის პრობლემების შესახებ.

პავლე კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, მომხსენებელმა მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია,

პაატა გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა ,რომ კომისია მუშაობს, სხდომები ტარდება რეგულარულად და ხდება მსჯელობა, ვაყენებ წინადადებას კომისიის საქმიანობა შეფასდეს დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე საკრებულოს წევრის პაატა გოგოლაძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**